პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 156 (4666)

1972 წ. 10 აგვისტო, ხუთშაბათი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

## ნახევარი გზა განვლილია

ლენინგრადში გრძელდება რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკე ქალთა ტრადიციული VII საერთაშორისო ტურნირი. განვლილია შეჯიბრების პირველი ნახევარი — 7 ტური.

ლიდერობს პიატიგორსკელი საერთაშორისო ოსტატი ვ. კოზლოვსკაია. მან ხუთი შეხვედრა მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა და ერთიც, სსრ კავშირის ჩემპიონ ი. ლევიტინასთან, ეტლების უკვეთეს ენდშპილში აქვს გადადებული.

ლიდერს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე უმცროსი მონაწილე, 18 წლის გორკელი მოჭადრაკე ა. ეპშტეინი — 5 (1).

შემდეგ ადგილებზე არიან რ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი), ლევიტინა (ლენინგრადი) — 4-4 (1) და ო. პედკო (სოჭი) — 3,5 (1).

ტურნირში 8 ქვეყნის 14 მოჭადრაკე მონაწილეობს.

• • •

გუშინ მივიღეთ ახალი ცნობა: კოზლოვსკაიას 8 ტურის შემდეგ 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. II ადგილზეა ეპშტეინი — 6 (1).

• • •




სურათზე: თამაშობენ პოლონელი ა. იურჩინსკა (მარჯვნივ) და ვ. კოზლოვსკაია.

ნ. ნაუმენკოვის ფოტო (საკდესი).

## მეთორმეტე პარტია

### ფიშერი — სპასკი

ორთოდოქსალური დაცვა

1. c4 e6 2. მf3 d5 3. d4 მf6 4. მc3 კe7 5. კg5 h6 6. კh4 0—0 7. e3 მbd7 8. ეc1 c6 9. კd3 dc 10. კ:c4 b5 11. კd3 a6 12. a4 ba 13. მ:a4 ლa5+ 14. მd2 კb4 15. მc3 c5 16. მb3 ლd8 17. 0—0 cd 18. მ:d4 კb7 19. კe4 ლb8 20. კg3 ლa7 21. მc6 კ:c6 22. კ:c6 ეac8 23. მa4 ეfd8 24. კf3 a5 25. ეc6 ე:c6 26. კ:c6 ეc8 27. კf3 ლa6 28. h3 ლb5 29. კe2 ლc6 30. კf3 ლb5 31. ლb3 კe7 32. კe2 ლb4 33. კa6 ეc6 34. კd3 მc5 35. ლf3 ეc8 36. მ:c5 კ:c5 37. ეc1 ეd8 38. კc4 ლd2 39. ეf1 კb4 40. კc7 ეd7. პარტია გადაიდო.

• • •

მეთორმეტე პარტიაში მეტოქეებმა კვლავ ახალი დებიუტი გაითამაშეს: ამჯერად აირჩიეს ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთი ძველი, მაგრამ თეორიაში კარგად ცნობილი სისტემა — ორთოდოქსალური დაცვა. სხვათა შორის, ამ სისტემას ხშირად მიმართავდნენ მსოფლიო პირველობაზე ალიოხინ — კაპაბლანკას 1927 წლის მატჩში.

სპასკი ლაზიერის ფრთის პაიკების წინსვლით შეეცადა დაემთავრებინა ფიგურების განვითარება, მაგრამ ფიშერმა მე-12 სვლით, რომელზეც 20 წუთს იფიქრა, დაარღვია მსოფლიო ჩემპიონის პაიკების წყობა. სპასკიმ მაინც მიაღწია მიზანს.

22-ე სვლიდან პარტიაში წმინდა პოზიციური ბრძოლა გაიშალა. ფიშერი აქტიურ გეგმას ეძებდა, თუმცა სისუსტეების შექმნას თავს არიდებდა. სპასკი მტკიცედ იგერიებდა მუქარას.

ეს იყო პირველი პარტია, რომელშიც არც შეწირვა, არც კომბინაცია არ განხორციელებულა.

40 სვლის მერე პარტია გადაიდო.

სპასკი



ფიშერი

აქ თავისი 41-ე სვლა ფიშერმა ჩაიწერა. სპეციალისტების აზრით, მდგომარეობა თანაბარია.

მეცამეტე პარტია დღეს უნდა გაიმართოს.

## „სიმშვიდის შემაშფოთებლები"

ტალინი, 8 აგვისტო. ზედიზედ მეორე წელია ტანდემებით ველორბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ ვ. სემენეცი (კიევი) და ი. ცელოვალნიკოვი (ხარკოვი).

ახალგაზრდა ტულელი არმიელი ვ. ნიკიფოროვი თავის მეწყვილესა და თანაკლუბელ ს. კამელკოვთან ერთად „სიმშვიდის შემაშფოთებელთა" როლში მოგვევლინა. შეჯიბრების პირველ დღეს ამ დუეტმა ბრძოლიდან გამოთიშა ძლიერი ტანდემი ვ. ლოგუნოვი — ა. პოლეტაევი, მეორე დღეს კი ვერცხლის პრიზიორებს — ა. იაბლუნოვსკისა (ოდესა) და ვ. ვოლკოვს (ტულა) სძლია და IV ადგილი დაისაკუთრა.

ბრინჯაო ახალგაზრდა ველოსიპედისტებს — მინსკელ ა. ვდოვინსა და ტულელ ვ. კოპილოვს ხვდათ, რომლებიც შარშანწინ სსრ კავშირის ჩემპიონები იყვნენ ჭაბუკთა შორის.

## უცნაური წერილი

რეიკიავიკი, 8 აგვისტო. ადგილობრივი გაზეთები წერენ, რომ ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციამ ერთობ უცნაური წერილი მიიღო. სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები და ჯერჯერობით იდუმალებით მოცული კაცი თხოულობს სპასკი — ფიშერის მატჩის დამთავრების შემდეგ ათამაშონ თუნდაც ერთი პარტია ერთბაშად სპასკისთან და ფიშერთან (როგორც ჩანს, მისი ვარაუდით, დიდოსტატებმა სვლები რიგრიგობით უნდა გააკეთონ). უცნობი 125 ათას გირვანქა სტერლინგს იძლევა ამ შეხვედრისთვის.

გამოითქვა აზრი, რომ შეიძლება წერილის მომწერს სურს მოეწყოს დაუსწრებელი თამაში, სადაც დიდოსტატთა წინააღმდეგ ელექტრული მანქანა გამოვა. ასეა თუ ისე, სამხრეთაფრიკელის ჩანაფიქრი ძალიან შორსაა ნამდვილი ჭადრაკისგან და სპორტულ მიზნებს აშკარად არ ისახავს.

ა. ერმაკოვი.
(საკდესის კორ.).

## მოედანზე სტუდენტი ხელბურთელები არიან

უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების ხელბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელიც სტუდენტთა VI თამაშების პროგრამის ერთ ნაწილს შეადგენდა, ორ ეტაპად ჩატარდა. გუნდები თავდაპირველად ზონებში ასპარეზობდნენ. სულ ოთხი ასეთი ზონა იყო: ტაშკენტში, ჩერკასში, გომელსა და რიგაში. ზონებში გამარჯვებულმა კოლექტივებმა თავი მოიყარეს გომელში, სადაც გათამაშდა კიდეც უძლიერესის ტიტულები.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა და თბილისის უნივერსიტეტის ვაჟთა კოლექტივები რიგაში თამაშობდნენ. მათ წარმატებით ჩაატარეს გათამაშების პირველი ეტაპი და გაიმარჯვეს: ვაჟებმა ყველა შეხვედრა მოიგეს, ქალებმა კი მხოლოდ ერთი ქულა დაკარგეს.

გომელში მოასპარეზენი ორ-ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. ჩვენმა ვაჟებმა ქვეჯგუფის შეხვედრებში მხოლოდ ერთხელ წააგეს (ტაშკენტელებთან) და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. აქ ისინი კრასნოდარის ხელბურთელებთანაც დამარცხდნენ და საბოლოო ჯამში III საპრიზო ადგილს დასჯერდნენ.

ქალებმა ქვეჯგუფის მატჩებში I ადგილი დაისაკუთრეს და ფინალისტთა ოთხეულში ბელორუსიელებთან ნოგებით შევიდნენ სვერდლოვსკისა და ჩერკასის ხელბურთელებთან ჩვენები დამარცხდნენ და, ისევე როგორც ვაჟები, საბოლოოდ III ადგილზე აღმოჩნდნენ.

რა შეიძლება ითქვას ტურნირზე? III საპრიზო ადგილები ისეთ შეჯიბრებაში, სადაც უმაღლესი ლიგის გუნდებიც ასპარეზობდნენ, არ არის ურიგო შედეგი. მაგრამ უნივერსიტეტის ვაჟთა კოლექტივს მეტი წარმატების მოპოვებაც შეეძლო. ყოველ შემთხვევაში, III ადგილი მისთვის უცხო არაა. გუნდმა წარმატებას მიაღწია მაღალი სათამაშო დისციპლინისა და ცალკეულ წევრთა ნამდვილი თავგანწირვის წყალობით. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა კოლექტივის წარმატება იმედს გვაძლევს, რომ ახალგაზრდული გუნდი შემდგომშიც თავს გამოიჩენს დიდი მასშტაბის ტურნირებში.

ც. ფცქიალაძე.

## ჩვენი ძალა — ჯანმრთელობაში

### ვეტერანის ოქროს სამკერდე ნიშანი

სკვირაში დამთავრდა კიევის ოლქის სოფლის მშენებელთა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები. ასპარეზობის მონაწილენი ამავე დროს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივებსაც აბარებდნენ. კიევის ოლქიდან მეხუთე საფეხურის („მხნეობა და ჯანმრთელობა") ოქროს სამკერდე ნიშანი პირველმა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო სამმართველოს მუშაკმა, 50 წლის მ. მიკულსკიმ მიიღო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. ბოგდანმა ეს სამკერდე ნიშანი ვეტერანს მკერდზე დაამაგრა დიდ სამამულო ომში მიღებული საბრძოლო ჯილდოების ვერდით.

სპარტაკიადამ 600-ზე მეტ მონაწილეს მოუყარა თავი. შეჯიბრების ლაურეატებს შორის არიან მღებავი ზინაიდა ტიმჩენკო, რომელმაც 10-კილომეტრიანი ველორბოლა მოიგო, მშენებელი ნატალია ფედინა, რომელმაც ყველას აჯობა ნახევარკილომეტრიან კროსში. სასტენდო სროლაში გაიმარჯვა მექანიკოსმა ვ. მელნიკმა. სიმძიმეების აწევაში პირველობდა მეტაკელაძე ვ. სანდალოვიჩი, რომელმაც ორფუთიანი საწონი 30-ჯერ ასწია. გარდა პრიზისა მან მიიღო კავკასიის ტურისტული საგზურიც.

ფინალური შეჯიბრების დროს სკვირისა და მახლობელი სოფლების ახალგაზრდები ხვდებოდნენ სპორტის ვეტერანებს, მსოფლიოსა და ევროპის, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს. მოეწყო უკრაინის დედაქალაქის მოწინავე ათლეტების საჩვენებელი გამოსვლები ჭიდაობაში, ძალოსნობაში, კრივში, აკრობატიკასა და ტანვარჯიშში.

სპარტაკიადა დამთავრდა „ვაშაშის" (ბუდაპეშტი) სპორტინტერნატისა და სკვირის სპორტსკოლის ხელბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრით.

კიევის ოლქი.

### საკოლმეურნეო სპორტის სახლები

ლიტვის რადვილიშის რაიონის კოლმეურნეობა „დრაუგასში" გაიხსნა ახალი სპორტის სახლი თამაშების დიდი დარბაზით. იგი ძალიან მოეწონათ ძალოსნებს, რომელთაც აქ რესპუბლიკის პირველობა ჩაატარეს. შეჯიბრების შემდეგ სოფლის ფიზკულტურელებმა საკუთარი ძალოსნობის სექცია ჩამოაყალიბეს. მეცადინეობა ახალ სპორტის სახლში ტარდება.

ლიტვის სოფლებში ახლა დიდი მშენებლობაა გაჩაღებული. კოლმეურნეთა ათასობით ოჯახი ხუტორებიდან კეთილმოწყობილ დაბებში აპირებს გადასახლებას. შენდება სპორტული ბაზებიც. მარტო კაპსუკასის რაიონში კოლმეურნე ახალგაზრდობა წლის ბოლოსთვის მიიღებს ხუთ სპორტის სახლს, რომელთაგანაც ოთხი უკვე მზადაა.

ლიტვის სოფლის მოსახლეობაში ძალიან პოპულარულია საცხენოსნო სპორტი. ადგილობრივი „ჯიგიტების" განკარგულებაშია ორი ახალი მანეჟი, ტრიბუნებით ვილნიუსის რაიონის დაბა რეშეში და შილუტსკის რაიონის „ნიამუნასის" ცხენსაშენში.

ლიტვაში ამჟამად 450 სასოფლო სპორტული ბაზაა. წლეულს მათ კიდევ 100 დაემატება.

ვილნიუსი.

## გათამაშდა მცირე მედლები

ვილნიუსი, 8 აგვისტო. 19 წლის კიშინიოველმა მშვილდოსანმა სვეტლანა პოხისმა პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის მცირე ოქროს მედალი: ყველას აჯობა 70 მეტრზე სროლაში. გამოჩენილ მეტოქეებს — მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონებს გაბედულად შეუტია სოფლის მასწავლებელმა ჩიტის ოლქიდან, ბურიატმა გ. არხიპოვამ. მართალია, იგი გამარჯვებულს 10 ქულით ჩამორჩა, მაგრამ II ადგილი დაიკავა.

ძალიან დაჯერებულად და თანაბრად იასპარეზა პიარნუელმა მესაათემ მ. ვაიკიარვმა, რომელმაც ორივე დისტანციაზე — 70 და 90 მეტრზე სროლაში იმარჯვა.

### ტექნიკური შედეგები

ქალები. 2×60 მ. 1. ა. პეუნოვა (ლენინგრადი) — 624 ქულა, 2. მ. ველენდი (ტალინი) — 618, 3. რ. რედკო (ლვოვი) — 612.

2×70 მ. 1. ს. პოხისი — 582, 2. გ. არხიპოვა — 572, 3. ს. სალიუკი (ლვოვი) — 565.

ვაჟები. 2×70 მ. 1. მ. ვაიკიარვი — 612, 2. მ. პეუნოვი (ლენინგრადი) — 610, 3. ვ. სიდორუკი (კიევი) — 610.

2×90 მ. 1. ვაიკიარვი — 546, 2. სიდორუკი — 517, 3. გ. ლუბიანი (ხარკოვი) — 515.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ძალა მეგობრობაშია

სსრკ 50

# ხალხთა მეგობრობის შუქით განათებული

**გვესაუბრება ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი ვიქტორ ლივენცევი.**

— ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში რა მიღწევებით ხვდება საბჭოთა ბელორუსია საზეიმო დღეს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს?

— პირველ ყოვლისა მინდა რამდენიმე სიტყვით გიამბოთ ბელორუსიელი ხალხის საერთო მიღწევებზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ რესპუბლიკის მშრომელთა ყოველი გამარჯვება ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის დიადი მეგობრობის შუქით არის განათებული.

სამგზის ორდენოსანი საბჭოთა ბელორუსიის მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ასჯერ გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. ახლა ბელორუსია მაღალგანვითარებული სოციალისტური ინდუსტრიის რესპუბლიკაა. განსაკუთრებულ წარმატებებს მივაღწიეთ იმ დარგების განვითარებაში, რომლებიც ტექნიკურ პროგრესს უწყობს ხელს. აშენდა მრეწველობის გიგანტები: სატრაქტორო და საავტომობილო ქარხნები, ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ნოვოპოლოცკში, კომბინატი „ბელარუსკალიი" სოლიგორსკში და სხვა.

ყოველივე ეს ლენინური იდეების მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ძმური თანამშრომლობის ნაყოფია.

სოციალიზმმა ჩვენს ხალხს მოუტანა კულტურის აყვავება, განათლება, გაამდიდრა მისი სულიერი ცხოვრება, შექმნა საუცხოო პირობები ადამიანის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისთვის.

საბჭოთა ადამიანის ჰარმონიულ აღზრდაში ლენინური იდეების განხორციელებაა პარტიისა და მთავრობის ზრუნვა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაც შეიძლება ფართოდ დანერგვისთვის.

ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება თვითმიზანი კი არ არის, არამედ სახალხო მეურნეობაში ახალი ზღუდეების უკეთ გადალახვის საშუალება.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ჩვენმა რესპუბლიკამ გაზრდილი ვალდებულებები იკისრა. გადაწყვეტილი გვაქვს მოვამზადოთ 15 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 350 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი. გვინდა გვყავდეს 2130 ათასზე მეტი ფიზკულტურელი. მოსალოდნელია, რომ წლეულს ნახევარ მილიონამდე მუშა, კოლმეურნე, სტუდენტი და მოსწავლე ჩააბარებს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივებს. დიდი გეგმები გვაქვს დასახული სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში, საზოგადოებრივი და ფიზკულტურული კადრების მომზადებაში...

— საბჭოთა ბელორუსიის სპორტის განვითარებაში მიღწეული წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია. თუ შეიძლება, დაწვრილებით გვიამბეთ, როგორ მიაღწია რესპუბლიკამ ასეთ წინსვლას.

— ფიზკულტურულ ბელორუსიას ღირსეული ადგილი უკავია სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ჩვენმა ნაკრებმა გუნდმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში საპრიზო IV ადგილი დაიკავა. რა თქმა უნდა, ეს გამარჯვება თავისთავად არ მოსულა. აუცილებელი იყო პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ერთობლივი, გულმოდგინე მუშაობა.

თავიდან კი ნამდვილი ყამირი დაგვხვდა. რევოლუციამდელ ბელორუსიაში სულ 70 სპორტული ორგანიზაცია, 2500 ფიზკულტურელი, 5 მოედანი და 7 სპეციალისტი იყო. დღეს რესპუბლიკის ფიზკულტურელთა არმია 2 მილიონზე მეტ კაცს ითვლის. თუ სხვადასხვა წლის მონაცემებს შევადარებთ, ზრდა თვალსაჩინოა. მაგალითად, 1950 წელს რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაცია 610 ათას კაცს აერთიანებდა, 10 წლის შემდეგ ეს ციფრი 1400 ათასამდე გაიზარდა, კიდევ ათი წლის შემდეგ კი 2 მილიონზე მეტს მიაღწია.

1949 წელს მხოლოდ ოთხი სპორტის ოსტატი მომზადდა, სულ კი 39 გვყავდა. 1959 წელს უკვე 132 კაცმა გადალახა ოსტატობის ზღუდე.

განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა ბოლო წლებში სპორტული ბაზების მშენებლობისთვის. პარტიული და საბჭოთა ორგანოების ზრუნვის შედეგად გაიხსნა ათობით ახალი სტადიონი, საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი.

ამ ხუთი წლის წინ მინსკში მარტო ერთი აუზი იყო, სადაც წყალი თბებოდა. ახლა ასეთი აუზები 16 ქალაქშია გახსნილი. აგებულია 40-ზე მეტი თანამედროვე საცურაო აუზი, დარბაზი. ოთხჯერ გაიზარდა ტურისტული ბაზების რიცხვი, ხუთჯერ — სათხილამურო ბაზებისა.

ბევრი რამ კეთდება სპეციალისტთა მომზადებისთვის. ამ საქმეს ემსახურებიან ბელორუსიის ფიზკულტურის ინსტიტუტი, გროდნოსა და ვიტებსკის ფიზკულტურის ტექნიკუმები, ფიზაღზრდის განყოფილება მოგილიოვის პედსასწავლებელში, ფიზაღზრდის ფაკულტეტები ბრესტის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და გომელის უნივერსიტეტში. ბოლო წლებში საგრძნობლად გაფართოვდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ქსელი. ახლა 250 ასეთი სკოლა გვაქვს.

ესეც იყო საწინდარი იმ წარმატებებისა, რასაც ჩვენმა რესპუბლიკამ მიაღწია სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებაში, აგრეთვე, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის სარბიელზე.

— წლევანდელი წელი ოლიმპიურია. როგორ ემზადებიან ამ დიდი სპორტული ფორუმისთვის ბელორუსიის სპორტსმენები?

— ბელორუსიის სპორტის ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე უამუდმებით იზრდება, ბევრმა ჩვენმა წარგზავნილმა წარმატებით დაიცვა სამშობლოს ღირსება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში. ოლიმპიური თამაშების სარბიელზე საბჭოთა კავშირის სახელით დღემდე ბელორუსიის 55 წარმომადგენელია გამოსული. ბევრი მათგანი შინ ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. საკმარისია დავასახელოთ სპორტის დამსახურებული ოსტატები ალექსანდრე მედვედი და რომუალდ კლიმი, ელენა ბელოვა და ტატიანა სამუსენკო... ამჟამად სსრ კავშირის ოლიმპიურ რაზმში 70-მდე ბელორუსიელია კანდიდატად ჩარიცხული. ყველა მათგანი გულმოდგინედ ემზადება მომავალი სპორტული ბატალიებისთვის. ჩვენს ოლიმპიელებს საუცხოო პირობები აქვთ წვრთნისთვის შექმნილი. მათს განკარგულებაშია საუკეთესო ბაზები. იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა ქვეყნის სახელით ამჯერადაც ბევრი ბელორუსიელი სპორტსმენი გამოვა ოლიმპიადის სარბიელზე. ესენი იქნებიან ჩვენი სპორტის ყველაზე ღირსეული წარმომადგენლები.

— სსრ კავშირის იუბილე ერთ ოჯახში გაერთიანებულ ხალხთა მეგობრობის დღესასწაულია. რა სპორტულ ღონისძიებებს უძღვნის ამ ზეიმს ბელორუსია?

— საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა ჩვენი სახელმწიფოს დიდი მონაპოვარია. ამ მეგობრობამ გაგვაძლებინა უმძიმესი გამოცდის წლებში, მისი წყალობით მივაღწიეთ უდიდეს წარმატებებს ყველა დარგში. მე ყოფილი პარტიზანული რაზმის მეთაური გახლავართ და ბევრჯერ ვყოფილვარ მოწმე ყველა ეროვნების ხალხთა მტკიცე მეგობრობისა, მათი ნამდვილი ერთობისა. ჩვენს ბრიგადაში ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ რუსები და ბელორუსები, უკრაინელები და ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები, ლატვიელები და ლიტველები. ჩვენ ვალდებული ვართ ეს მეგობრობა სპორტულ სარბიელზეც დავიცვათ. აი, რატომ გვაქვს გეგმაში შეტანილი ამდენი შეხვედრა სხვა რესპუბლიკების სპორტსმენებთან. შეჯიბრებები ბელორუსიის თითქმის ყველა დიდ ქალაქში ჩატარდება. ჩვენი რესპუბლიკის სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე გამოვლენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. თავის მხრივ, ჩვენი სპორტსმენები სხვა რესპუბლიკებს ეწვევიან. ეს გაცვლა-გამოცვლა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურელთა მეგობრობის განმტკიცებას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

**საუბარი სპეციალურად „ლელოსთვის" ჩაიწერა**

**ვ. პრეცკაილოვი.**

• • •

**სურათებზე:** გამოჩენილი მოფარიკავე ე. ბელოვა; სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პრიზიორი ა. კოშელი დვირზე ასპარეზობის დროს; „შრომითი რეზერვების" სპორტსმენთა მასობრივი ვარჯიში მინსკის „დინამოს" სტადიონზე.

**დ. ტერეხოვის ფოტოები.**










# სპორტული კლუბის სახელისთვის ვიბრძოლებთ

## გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის სოციალისტური ვალდებულება

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად საბჭოთა კავშირმა არნახულ წარმატებებს მიაღწია ადამიანის ჰარმონიული განვითარების სფეროში. ამ ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი ფიზკულტურული კომპლექსის შემოღების შესახებ. ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი პატრიოტული ენთუზიაზმით ემზადება საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ღირსეულად შესახვედრად, გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი, დგება რა საიუბილეო შრომითს ვახტზე, აცხადებს, რომ აღებულ ვალდებულებათა ვადამდე და წარმატებით შესრულებაში მშრომელთა ერთგული მეკავშირე იქნება ფიზიკური კულტურა და სპორტი. ახალი ფიზკულტურული კომპლექსი იქნება ამ მხრივ გაწეული მთელი საქმიანობის საპროგრამო საფუძველი. ფიზიკური კულტურა და სპორტი ფართოდ დამკვიდრდება ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში.

ახალი ფიზკულტურული კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი შემდეგ ვალდებულებებს იღებს:

1. „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი ფიზკულტურული კომპლექსი ქარხნის ადმინისტრაციულ, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მთელს კოლექტივს მიაჩნია საყოველთაო საქმედ, კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება კი პატრიოტულ მოვალეობად. ქარხნის მშრომელთა შორის კომპლექსის მასობრივად დანერგვა ხელს შეუწყობს მათი ჯანმრთელობის განმტკიცებას, აამაღლებს შრომისნაყოფიერებას, დისციპლინას, გაალრმავებს სიყვარულს კოლექტივისადმი. ფიზკულტურისა და სპორტისთვის დათმობილი დრო ჩვენ დაკარგულად არ მიგვაჩნია — მას ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის ოქროს ფონდში.

2. ახალი კომპლექსის პრაქტიკულად დანერგვაში და ნორმატივების ჩაბარებაში ქარხნის მშრომელებს მაგალითს მისცემენ ხელმძღვანელი მუშაკები. მივაღწევთ, რომ სათანადო მომზადების შემდეგ კომპლექსის სხვადასხვა საფეხურის მოთხოვნები საიუბილეო თარიღისთვის ჩააბაროს ქარხნის კოლექტივის წევრთა ნახევარმა. მთლიანად კომპლექსის ჩაბარებას დავამთავრებთ ვადამდე — 1973 წლის 1 ივლისამდე.

3. ახალი კომპლექსის დანერგვით მივაღწევთ სპორტის მასობრიობას, სექციებში და ჯგუფებში ჩავაბამთ მუშა-მოსამსახურეთა 55 პროცენტს, მოვამზადებთ 2 სპორტის ოსტატობის კანდიდატს, 15 პირველთანრიგოსანს და მასობრივი თანრიგების 350 სპორტსმენს, შევქმნით ყველა წინაპირობას, რომ ხუთწლედის ბოლოსთვის სპორტული კლუბის სახელი მოვიპოვოთ.

4. სისტემატურად ჩავატარებთ სპარტაკიადებსა და პირველობებს სხვადასხვა სახეობაში. დასვენების დღეებში მოვაწყობთ ტურისტულ ლაშქრობებს, ექსკურსიებს, შევქმნით თევზაობისა და ჯანმრთელობის ჯგუფებს. მშრომელთა მასობრივი გაჯანსაღების მიზნით ბაკურიანში სრული დატვირთვით გამოვიყენებთ დასასვენებელ სახლს, მომავალში კიდევ უფრო გავზრდით მის გამტარუნარიანობას, გადავაქცევთ კეთილმოწყობილ გამაჯანსაღებელ კერად.

5. შევაკეთებთ, კეთილმოვაწყობთ და სპორტული შეჯიბრებებისთვის მოვამზადებთ კალათბურთის ექვს და ფრენბურთის ათ მოედანს, ჩოგბურთის კორტს, საცურაო აუზს, მოვაწყობთ კალათბურთის ორ და ფრენბურთის ოთხ ახალ მოედანს. სტადიონზე შევქმნით ნორმალურ პირობებს რბენაში და ტყორცნაში წვრთნისა და შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ნორმატივების ჩასაბარებლად მოვიწვევთ ვეტერან ფიზკულტურელებსა და ნიშნოსნებს.

ვიღებთ რა ამ ვალდებულებებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ჭიათურის მაღაროელთა კოლექტივს.

კოლექტივის სახელით: **ჯ. ცხელიშვილი** — ქარხნის დირექტორი, **ო. ბუხნიკაშვილი** — პარტიული კომიტეტის მდივანი, **ბ. ქათამაძე** — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, **მ. თუთბერიძე** — „განთიადის" საქარხნო საბჭოს თავმჯდომარე, დირექტორის მოადგილე, **მ. გიორგაძე** — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, **გ. თურქაძე** — პირველთანრიგოსანი სპორტსმენი, **ო. სამყურაშვილი** — „მეტალურგის" უფროსი მწვრთნელი, **დ. ლავთაძე** — ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულცივი ხელმძღვანელები და მონდომება

ვიყოთ გულახდილნი: ჯერ კიდევ არიან ხელმძღვანელები, რომლებიც სპორტს უგულოდ ეკიდებიან.

დაუგდეთ ყური ახმეტის რაიონის სოფ. არგოხის ახალგაზრდებს:

**„ყურადღებას არავინ გვაქცევს. ინსტრუქტორი არა გვყავს, ფეხბურთის სტადიონი სათიბად გადააქციეს. ჩვენი სოფლის ფეხბურთელებმა წლეულს მაინც შეძლეს რაიონის ჩემპიონობის მოპოვება და თასიც დაისაკუთრეს. მერე რა? რესპუბლიკის ზონალურ ტურნირში ვერ ვითამაშეთ, მეურნეობის ხელმძღვანელებმა თანხების უქონლობა მოიმიზეზეს“.**

ხელმძღვანელთა გულცივობას უჩივიან, აგრეთვე, ჭიათურის მჭიდროდ დასახლებული ნაგუთის უბნის ახალგაზრდები რ. კურტანიძე, ნ. ბრეგვაძე, ბ. აბესაძე და მ. ჭოხონელიძე.

**„მიწა ჩვენვე მოვასწორეთ და ფეხბურთი გავაჩაღეთ. მინდორი გადაგვიხნეს: სტადიონი უნდა აგიშენოთო. მშენებლობა ჯერაც არ დაუწყიათ.**

**ეს უკვე მერამდენედ მივაკითხეთ ზემდგომ ორგანოებს, გვპირდებიან და დაპირება დაპირებად რჩება. სანამდე?**

**სპორტის სიხარულს ნორჩებიც მოკლებული არიან. „ტყავის ბურთის“ პრიზზე ასპარეზობას ელოდნენ, მაგრამ ისინი არავის მიუწვევია. თითქოს ჭიათურაში ეს შეჯიბრება არც ეხებოდა.**

**ჭიათურაში ვერც სპორტულ ინვენტარს იშოვი. ბურთისთვის ზესტაფონში და სხვა მეზობელ ქალაქებში გვიხდება ჩასვლა“.**

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ზემოხსენებული სოფლისა თუ ქალაქის ხელმძღვანელები შეიძლება სხვა ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ, მაგრამ სპორტისადმი უყურადღებობით ახალგაზრდებში ნდობას კარგავენ.

ზოგან ნორჩი სპორტსმენები ცდილობენ ფონს თავისით გავიდნენ. სოფ. ზედა ითხვისის (ჭიათურა) ნორჩი ფეხბურთელები მინდვრისთვის ნაკვეთს მოითხოვენ. ჩანს, სოფლის თავკაცებმა უარი უთხრეს და რედაქციას ეკითხებიან: **„უნდა მოგვცენ თუ არა ფეხბურთის მოედნისთვის ნაკვეთი?“**

ასევე შეწუხებული არიან წითელი წყაროს რაიონის სოფ. სამთაწყაროს ახალგაზრდები. მაგრამ ისინი პირდაპირ რედაქციას სთხოვენ დახმარებას. ჯერ საჭიროა სოფლის თავკაცებს მიმართონ (გულცივი ხელმძღვანელები ყველგან როდი არიან). და მხოლოდ მერე, როცა არაფერი გამოვა, კომკავშირელების, ენთუზიასტების მხარდაჭერით საჭიროა ბრძოლა, რომ ახალგაზრდებს თავიანთი, თუნდაც მხოლოდ ფეხბურთის სათამაშო მინდორი ჰქონდეთ!

## სოფლის სპორტსმენები

### ✦ ქობულეთი

ჩატარდა სოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში. ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს ქობულეთელებმა. მათვე ყველას აჯობეს ტყვიის მსროლელთა ასპარეზობაში. ფრენბურთელ გოგონათა შორის უძლიერესი იყო ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდი. ვაჟებში საუკეთესონი იყვნენ ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლები.

**გ. სიორიძე,**
**„კოლმეურნის“ რაისაბჭოს ინსტრუქტორი.**

# კრახი ფაშიზმის ბუნაგში



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 1931 წლის სესიამ მომდევნო ოლიმპიადის ჩატარება ბერლინს მიანდო, თუმცა მასთან ერთად ამ უფლებისთვის ბარსელონაც იბრძოდა. როგორ მოხდა, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ აშკარად მტრულად განწყობილმა სოკ-მა ოლიმპიური იდეები საჯიჯგნად ჩაუგდო ხელში აშკარად მილიტარისტულ ქვეყანას?

ვერსალის შეთანხმებამ გერმანიის რევანშისტულ სულისკვეთებას მკაცრად ამოსდო ლაგამი. მთავრობას ოცნებაც არ შეეძლო რამდენადმე ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნაზე. ეს ვერსალის მოთხოვნათა უგულებელყოფა იქნებოდა, რაც, რა თქმა უნდა, საერთაშორისო სკანდალსა და პროტესტს გამოიწვევდა. ტევტონთა თავმოყვარეობას პირველ ხანებში მაინც კომპრომისის იქით გზა არ ჰქონდა, მაგრამ, დრო უქმად რომ არ დაეკარგათ, მთელი გულისყური სპორტზე გადაიტანეს. აქ კონფლიქტებიც უფრო ნაკლები იყო და ატმოსფეროც უფრო მშვიდი. თურმე ნუ იტყვით, რევანშზე ფიქრი სპორტშიც შესაძლებელი ყოფილა. ამიტომაც პრეზიდენტ ჰინდენბურგის საგანგებო დეკრეტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სისტემის გარდაქმნის თაობაზე მმართველმა წრეებმა ჯეროვნად შეაფასეს. სპორტისთვის სახელმწიფო მზრუნველობის საყოველთაო გაძლიერებამ შემდგომი ბიძგი მისცა გერმანელი ახალგაზრდობის გაერთიანებას სხვადასხვა ორგანიზაციაში. ეს ვერსალის შეზღუდვათა ერთგვარი კომპენსაცია იყო და კიდევ იმედი, რომელსაც ასე გამწარებული ელოდებოდა ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა.

ოლიმპიურ თამაშებში ფაშიზმმა არიული რასის ფიზიკური სრულყოფის დემონსტრაციისა და ახალი წესრიგის პროპაგანდის შესაძლებლობა დაინახა. ამიტომაც სოკ-ის 1934 წლის კონგრესზე დაისვა საკითხი ბერლინის კანდიდატურის მიზანშეწონილებაზე. გამოიყო სპეციალური საექსპერტო კომისია ე. ბრენდეჯის მეთაურობით, რომელსაც დეტალურად უნდა შეესწავლა საკითხი და შემდეგ გაეცნო იგი სოკ-ის წევრთათვის. სულ მალე კომისიამ წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა, რომლის შინაარსიც ორიოდე სიტყვით ასე ჩამოყალიბდა: გერმანელ ერს შესწევს ძალა არ უღალატოს ოლიმპიურ იდეებს, დაიცვას მისი სული და ღირსეულად უმასპინძლოს მსოფლიო სპორტის ზეიმს.

ამ წინდაუხედავმა, ზერელედ შედგენილმა დასკვნამ ბერლინის ოლიმპიადას ფორმალურად გზა დაულოცა.

კომისიის დასკვნამ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში პროტესტების ტალღა გამოიწვია. ნიუ-იორკში, მაგალითად, ბერლინიდან ოლიმპიადის გადატანისთვის მებრძოლი საბჭოც კი შეიქმნა. ამ საბჭოში გაერთიანდნენ თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები — სენატორები, გუბერნატორები, მწერლები, მსახიობები, ჟურნალისტები. 1936 წელს პარიზში ოლიმპიურ იდეათა დაცვის კონფერენცია მოეწყო, რომლის მუშაობაში მთელი მშვიდობისმოყვარე სამყარო მონაწილეობდა. ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიის, დანიის, საფრანგეთის, შვეციის, შვეიცარიის, აშშ-სა და ბევრი სხვა ქვეყნის დელეგაციათა კატეგორიული მოთხოვნით ბერლინს უარი ეთქვა ოლიმპიადის მასპინძლობაზე ბარსელონის ეგრეთ წოდებული სახალხო ოლიმპიადის სასარგებლოდ. ვინ იცის, საბოლოოდ რომელი კანდიდატურა გადასძალავდა (ბარსელონაში უკვე ჩასულიც კი იყო ოცამდე ქვეყნის სპორტული დელეგაცია), ესპანეთში ფაშისტური პუტჩი რომ არ მომხდარიყო. ფრანკომ, ჰიტლერის უახლოესმა მეგობარმა და თანამოაზრემ, უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ბერლინს და ყველაფერი ამით გადაწყდა.

ნაციონალ-სოციალისტებს სულაც არ აინტერესებდათ რას ფიქრობდა პროგრესული სამყარო. ისინი მხოლოდ სოკ-ის გულის მოგებას ცდილობდნენ და ყოველმხრივ ეპირფერებოდნენ. როგორც კი ცნობილი გახდა ბრენდეჯის კომისიის აზრი, გერმანიამ ფართო პროპაგანდისტული კამპანია წამოიწყო. რასისტთა ჩანაფიქრით, XI ოლიმპიადას ყოველმხრივ უნდა დაეჩრდილა თავისი წინამორბედი. ფეხზე დადგა გებელსის ყბადაღებული უწყება, საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა საიმპერიო დაწესებულებები. ოლიმპიადა მათი საქმე იყო და ისინიც ოლიმპიურ სამზადისს შეუდგნენ, ოღონდ თავისებურად.

XI ოლიმპიადის დედაქალაქში ბევრ უცხოელ სტუმარს ელოდნენ და, რათა ჩამოსულთათვის შეძლებისდაგვარად თვალები აეხვიათ, სასწრაფოდ გატარდა მთელი რიგი პროფილაქტიკური ღონისძიებანი. ძველ არქივებში დღემდე ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროს და ბერლინის პოლიციის შეფის ერთობლივი, საიდუმლო ბრძანება: „1 ივლისიდან 15 სექტემბრამდე მოიხსნას და საიმედოდ გადაიმალოს ყველა ანტიებრაული ლოზუნგი“. მიმართეს სხვა სასწრაფო ღონისძიებებსაც. ოლიმპიური იდეებისადმი ვითომცდა პატივისცემისა და მორჩილების გამოსახატავად თამაშების საპატიო სტუმრად მიიწვიეს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მარათონში სპიროს ლუისი. ბერლინი გარეგნულად მზად იყო ოლიმპიელთა მისაღებად, მაგრამ, ცუდად დადგმული სპექტაკლისა არ იყოს, სიყალბე ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა. გერმანელებმა ოლიმპიური იდეა მხოლოდ გარეგნულად შეალამაზეს, ამიტომაც ეფექტი პირველივე სამუშაო დღეს გაქრა.

ბერლინის ოლიმპიადის (ჩატარდა 1936 წლის 1-15 აგვისტოს) სპორტული ღირებულება გაცილებით დიდია მის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. XI ოლიმპიურმა თამაშებმა სპორტული სამყარო ბევრი შესანიშნავი მიღწევით გაამდიდრა. გაუმჯობესდა ოლიმპიადის 36 რეკორდი: მძლეოსნობაში — 19 (7 მსოფლიო რეკორდი), ცურვაში — 7 (1 მსოფლიო რეკორდი), ძალოსნობაში — 5 (ასევე 1 მსოფლიო რეკორდი), ველოსპორტში —3, სროლაში — 2. ბერლინის ოლიმპიადაში მოქალაქეობის უფლება მიიღო სპრინგფილდის (აშშ) კოლეჯის ანატომიის მასწავლებლის ჯონ ნეისმიტის დიდებულმა გამოგონებამ — კალათბურთმა.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ყველაზე კარგი მაჩვენებელი ოლიმპიადის მასპინძლებს ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ჰიტლერის ყბადაღებულმა თეორიამ არიული რასის ყოველმხრივი უპირატესობის შესახებ კრახი განიცადა და მერე როგორი! ბერლინის ოლიმპიადა ისტორიაში შევიდა, როგორც შავი ფერის სპორტსმენთა ყველაზე დიდი დღესასწაული. ჯერ ის რად ღირს, რომ აშშ-ს მძლეოსანთა გუნდის ათმა ფერადკანიანმა წევრმა შინ ექვსი ოქროს მედალი წაიღო. ეს რასისტული თეორიის ნამდვილი კრახი იყო და მერე სად — შიგ ფაშიზმის ბუნაგში! ფერადკანიან სპორტსმენთა ტრიუმფი თავისებური პროტესტიც იყო, რომელსაც წონასწორობადაკარგული ორგანიზატორები საზოგადოებრივი აზრისადმი სოლიდარობის ნიშნად დიდი გაჭირვებით იტანდნენ.

მაგრამ მოთმინებას აც აქვს საზღვარი. როცა ნირწამხდარმა მსაჯებმა ჯესი ოუენსს მკერდზე ოლიმპიური ჩემპიონის მეოთხე მედალი დაჰკიდეს, ფიურერმა ხელი არ ჩამოართვა განარჯვებულს და დემონსტრაციულად დატოვა სტადიონი. ოუენსს არაფერი დაუკარგავს — ამით, ფიურერი კი ათათრობით უცხოელის თვალში კიდევ უფრო პატარა და სულმდაბალი გამოჩნდა.



ბერლინის ოლიმპიადას ოუენსის ოლიმპიადასაც უწოდებენ. ფენომენალურმა ზანგმა თავისი ბრწყინვალე გამარჯვებებით ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს და ვერც ერთი უმაღლესი მიღწევა ვერ აღუდგება სპორტსმენის კანონიერ სურვილს — იყოს უფრო მარჯვე, უფრო ძლიერი და უფრო სწრაფი. ოუენსი თავისებური ეპოქაა სპორტში და ამიტომაც მის ცხოვრებაზე უფრო დეტალურად შევჩერდებით.

იგი 1913 წელს დაიბადა კლივლენდში. ბავშვობაში გატაცებული იყო ბეისბოლითა და ფეხბურთით. ეს სიყვარული ჯესის მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. კოლეჯში კალათბურთელთა გუნდის კაპიტნობა ითავა. უნივერსიტეტში შესვლის შემდეგ 20 წლის ჭაბუკის მძლეოსნურმა გატაცებამ უფრო ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ამ პერიოდში ჯეიმს კლივლენდ ოუენსი წვრთნას იწყებს ცნობილი სპეციალისტის ლარი სნაიდერსის მეთვალყურეობით. თვით სპორტსმენი ყველა შემდგომ წარმატებას ამ იღბლიან ნაცნობობას უკავშირებს.

1935 წელს ოუენსმა მსოფლიოს გააცნო თავი: მიჩიგანის შტატის ქალაქ ანარბორში სტუდენტთა ასპარეზობაში უცნობმა ზანგმა მძლეოსანმა ერთბაშად 6 მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. ნამდვილი ზღაპარი იყო: რეკორდები განახლდა 100 იარდზე (9,4), 200 მეტრსა და 220 იარდზე



რბენაში (20,3), თარჯრბენში 200 მეტრსა და 220 იარდზე (22,6) და სიგრძეზე ხტომაში (813 სმ). რა თქმა უნდა, ასეთი ტიტულოვანი სპორტსმენი ბერლინში ჩავიდა, როგორც ფავორიტი, როგორც ტრიუმფატორი, და მიიღო კიდეც თავისი — ოთხი ოქროს მედალი. ჯესი მაშინ 23 წლისა იყო — სპორტული ისტატობის ზენიტში. შინ დაბრუნებისთანავე იგი პროფესიონალი გახდა და, ცხადია, ოლიმპიადებში მონაწილეობის უფლება დაკარგა. ომის შემდეგ ოუენსი დაუბრუნდა სარბიელს, ოღონდ როგორც მწვრთნელი, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი. 1956 წელს მელბურნში მას შეერთებული შტატების მძლეოსანთა გუნდის მთავარი კონსულტანტის პოსტი ეკავა, 1968 წელს კი ოლიმპიადის საპატიო სტუმარი იყო მეხიკოში.

• • •

**სურათებზე: ოლიმპიურ ცეცხლს ანთებენ ბერძენი ქალიშვილები ოლიმპში. ეს სიახლე პირველად XI თამაშებში გამოიყენეს; ჯ. ოუენსი — ლეგენდარული მძლეოსანი; XI ოლიმპიადისადმი მიძღვნილი პლაკატი.**

München 1972

# ოლიმპიური ბაირაღები

მიუნხენი, 9 აგვისტო. ოლიმპიურ სოფელში ეროვნული დროშების აღმართვასთან დაკავშირებული საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ანძაზე პირველად გამოჩნდა ბაირაღები ავსტრალიისა და ვენესუელისა, რომელთა გუნდებიც სხვებზე უწინ მთელის შემადგენლობით ჩამოვიდნენ XX ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში.

„მწვანე კონტინენტიდან“ დაახლოებით 130 წარმომადგენელი ჩამოვიდა, ხოლ კი მიუნხენში უკვე მოიყარა თავი და ვარჯიში დაიწყო 23 ქვეყნის თითქმის 700 ოლიმპიელმა.

## „ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის“

# წინასატურნირო „დიპლომატია“

ყოველკვირეულმა „64“-მა დაბეჭდა მ. ბოტვინიკის წერილი „ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის“, რომელიც პირველად ჟურნალ „ოგონიოკში“ გამოქვეყნდა 1948 წელს.

დღეს გთავაზობთ ერთ-ერთ თავს ამ წერილიდან.

სასტუმრო „კარლტონამდე“ ათი წუთის გზაა. ფლორი ვაჟკაცურად მოაბიჯებს ჩემს გვერდით. სახეზე თითქოს კმაყოფილ ღიმილსაც ვამჩნევ. ეს ცოტა მამშვიდებს. არჩევანი სწორი გამოდგა. ჩემს თანამგზავრს რამდენიმე თვისება უნდა ჰქონოდა. საჭადრაკო სამყაროში პატივცემული და დაფასებული კაცი უნდა ყოფილიყო, თავად უშუალოდ პატიოსანი და საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულების საკითხში ლოიალური. დასახრულ, ზედმეტი ლაპარაკი არ უნდა ჰყვარებოდა... ფლორი ყოველმხრივ უნაკლო იყო. ასეთი მოწმის თანდასწრებით მართლაც შეიძლებოდა ალიოხინთან საუბარი.

ამსტერდამის 1938 წლის ტურნირის დახურვის დღეს მე მსოფლიო ჩემპიონს ვაცნობე, რომ მასთან კონფიდენციალური საუბარი მსურდა. ალიოხინი მყისვე ყველაფერს მიხვდა და მეორე დღესვე ოთხი საათისთვის დამინიშნა პაემანი სასტუმრო „კარლტონში“. მსოფლიო ჩემპიონმა უაღრესად ოფიციალურად, დიდის ამბით მიმიწვია, მაგრამ მე მაინც მომეჩვენა, თითქოს მის თვალებში სიამოვნება ამოვიკითხე. ამან დამაიმედა, თუმცა ახალგაზრდა ვიყავი და ერთბაშად ვერ მივხვდი, რომ მაშინ ალიოხინს გულით უნდოდა სწორედ საბჭოთა დიდოსტატთან ეთამაშა მატჩში. ჩემპიონის აზრით, ეს ყველაზე საიმედო გზა იყო სამშობლოში დასაბრუნებლად...

და აი, მე და ფლორი ნოემბრის წვიმიან დღეს ამსტერდამის სველ ქუჩებში მივაბიჯებდით. ალიოხინი ჰოლში შეგვხვდა. ჩაის მივუსხედით და ნახევარ საათს ვსაუბრობდით. ამ ნახევარ საათში შევითანხმეთ მისი პირობები: ჩემპიონის ჰონორარი — 6700 დოლარი, მატჩის ადგილი — ევროპის ნებისმიერი ქვეყანა (გარდა ჰოლანდიისა). თუ მატჩი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ჩატარდებოდა, ალიოხინი გადაჭრით მოითხოვდა, რომ შეჯიბრების დაწყებამდე სამი-ოთხი თვით ადრე მოსკოვის რომელიმე ტურნირში თამაშის საშუალება ჰქონოდა. ალიოხინი დაგვეთანხმა, რომ ჩვენს ამ საუბარს საიდუმლოდ შეინახავდა. გადაწყდა, რომ, თუ ამ საუბარს ოფიციალური გამოწვევა მოჰყვებოდა და მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდებოდა, მატჩის შესახებ განცხადებას საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაცია გამოაქვეყნებდა.

დავემშვიდობეთ ალიოხინს და... აღარასდროს შევხვედრივართ.

მე საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაციას მოსკოვში ჩამოსვლისთანავე გადავეცი მსოფლიო ჩემპიონთან საუბრის შედეგები. მატჩის ორგანიზაციაში ბევრი სიძნელე შეგვხვდა. ჯერ ალიოხინის პოლიტიკური წარსული გვაბრკოლებდა, მერე მატჩი დიდ თანხებს მოითხოვდა. ამხანაგებმა მირჩიეს უშუალოდ საბჭოთა მთავრობისთვის მიმემართა და ასეც მოვიქეცი. დამთანხმდნენ. მალე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტაციაც მივიღე — მსოფლიო პირველობაზე მატჩში წარმატებას მისურვებდა.

მიხეილ ჩიგორინმა ორჯერ გადაცურა ატლანტის ოკეანე, რათა მსოფლიო პირველობაზე მატჩები ეთამაშა სტეინიცთან. მეფის რუსეთის პირობებში მის სამშობლოში მატჩის ჩატარება უიმედო საქმე იყო. მე კი, სულ ახალგაზრდა კაცს, სოციალისტური სამშობლო ასეთ ნდობას მიცხადებდა!

ალიოხინთან მოლაპარაკება წარმატებით წარიმართა, მაგრამ მერე ევროპაში ომი დაიწყო და ხელი შეგვეშალა.

ომის დამთავრების შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, ვინაიდან დასავლეთში ალიოხინს რამდენიმე პოლიტიკური ბრალდება წაუყენეს. ალიოხინის წინააღმდეგ გაილაშქრა მოჭადრაკეთა ერთმა ჯგუფმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ეივეს მეთაურობით. ისინი მოითხოვდნენ ალიოხინი ყველა შეჯიბრებიდან გაერიცხათ და მსოფლიო ჩემპიონის წოდებაც ჩამოერთმიათ, ვიდრე თავს არ გაიმართლებდა.

1945 წლის ბოლოს ალიოხინმა ორი განცხადება გააკეთა: მსოფლიო ჩემპიონი მისდამი წაყენებულ პოლიტიკურ ბრალდებებს უარყოფდა და გამოაცხადა, რომ მზად იყო საბჭოთა ჩემპიონის გამოწვევა მიეღო.

ამჯერად ახალი „საჭადრაკო სელა“ საზღვარგარეთ გაკეთდა. როგორც ჩანს, ყველას არ დაუჯდა ჭკუაში, ალიოხინი რომ საბჭოთა მოჭადრაკესთან აპირებდა მატჩის თამაშს. რ. ფაინმა მოსკოვში წერილი გამოგზავნა. იგი გვწერდა, რომ ამერიკის კომიტეტს კალიფორნიაში ჰქონდა აუცილებელი „ფონდები“ მატჩ-ტურნირის მოსაწყობად. შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ეივეს, რეშევსკის, ფაინს, კერესს, სმისლოვს, ბოტვინიკს და შეიძლება ალიოხინსაც (თუ თავს გაიმართლებდა). მატჩ-ტურნირში გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონად უნდა გამოცხადებულიყო.

აშკარა იყო, საკითხის ასე გადაჭრა არ ივარგებდა. თუ ალიოხინი თავს გაიმართლებდა, რაღა საჭირო იყო საერთაშორისო ტრადიციის დარღვევა და ჩემპიონობის ბედის გადაწყვეტა მატჩ-ტურნირში, ნაცვლად ინდივიდუალური მატჩისა? სასაცილო ის იყო, რომ ეივემ და ფაინმა ამსტერდამის 1938 წლის ტურნირის მონაწილეთა დავალებით ჯერ კიდევ 1939 წელს შეადგინეს და ამ შეჯიბრების მონაწილეებს დაუგზავნეს მსოფლიო პირველობის სტატუსის პროექტი. პროექტში მითითებული იყო, რომ მატჩ-ტურნირის ჩატარება შეიძლებოდა მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონის სიკვდილის გამო, ან მაშინ, თუ ალიოხინი ამ სტატუსს დაარღვევდა...

საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაცია ამ წინადადებას არ დაეთანხმა. მსოფლიო პირველობა ისე უნდა მოგვეპოვებინა, რომ გამარჯვების შემთხვევაში საბჭოთა მოჭადრაკე მთელს საჭადრაკო სამყაროს ეცნო.

ჩვენი საჭადრაკო ორგანიზაციის დავალებით მე ალიოხინი ფორმალურად გამოვიწვიე მატჩში სათამაშოდ. 1946 წლის თებერვალში ეს გამოწვევა ინგლისელი ოსტატის ჯ. თომასის (იმ პერიოდში იგი სსრ კავშირთან კულტურული დაახლოების საზოგადოების საჭადრაკო სექციის პრეზიდენტი იყო) და ბრიტანეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტ ჯ. დერბიშაირის მეშვეობით გავგზავნე. 1946 წლის 24 მარტს ალიოხინი მოულოდნელად გარდაიცვალა.

საჭადრაკო სამყარო უჩემპიონოდ დარჩა. ეს უდიდესი დანაკარგი იყო. ალიოხინი დაჯილდოებული გახლდათ ბევრი ისეთი თვისებით, რაც ალბათ არც ერთ სხვა მსოფლიო ჩემპიონს არ ჰქონია. მისი კომბინაციური ხედვა გამონაკლისი იყო. სწორედ ამ კომბინაციური იარაღის წყალობით მოიპოვა ალიოხინმა წარმატება ლასკერთან, რუბინშტეინთან, ნიმცოვიჩთან, ეივესთან. ასე დაამარცხა მან „დაუმარცხებელი“ კაპაბლანკა.

ახლა, როცა ვითარება შეიცვალა, ფაინის მიერ შემოთავაზებული მატჩ-ტურნირი ყველაზე იოლი გზა იყო ამოცანის გადასაჭრელად. 1946 წელს შვეიცარიაში ფიდე-ს კონგრესზე გადაწყდა ჩატარებულიყო მატჩ-ტურნირი ზემოხსენებული ექვსი მოჭადრაკის მონაწილეობით. ამასთან, ამერიკის კომიტეტისგან არავითარი დასტური არ მიგვიღია და არც რაიმე ცნობა შემოსულა აუცილებელი „ფონდების“ არსებობაზე...

წინასატურნირო „დიპლომატიის“ დანარჩენი პერიპეტიები: მატჩ-ტურნირის ექვსი მონაწილის თათბირი 1946 წლის სექტემბერში მოსკოვში, ფიდე-ს კონგრესი 1947 წელს ჰააგაში (აქ ჰოლანდიური დელეგაცია მოითხოვდა ეივე მსოფლიო ჩემპიონად გამოეცხადებინა ან, „უკიდურეს შემთხვევაში“, ჩატარებულიყო ეივე — რეშევსკის მატჩი მსოფლიო პირველობაზე.) კარგადაა ცნობილი მთელი საჭადრაკო სამყაროსთვის.

ჰააგის კონგრესმა ჭეშმარიტად ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო: ტურნირი უნდა დაწყებულიყო 1948 წლის 1 მარტს, მიუხედავად მონაწილეთა რიცხვისა! დავა თითქოს საბოლოოდ დამთავრდა, მაგრამ... ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, როცა შეჯიბრების რეგლამენტთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი იყო გადასაწყვეტი, ისევ დაიწყო ლაპარაკი ჰააგის კონგრესის უსამართლო გადაწყვეტილებაზე.

1 მარტს ტურნირი დაიწყო და კამათიც დამთავრდა.

4 მარტს პირველი პარტია უნდა მეთამაშა სწორედ ეივესთან იმ დღეს მე და რაგოზინი 17 საათსა და 55 წუთზე გამოვედით სასტუმროდან. „ბრძოლის ველისკენ“ გზა წინასწარ გვქონდა გაზომილი — ოცი წუთის სავალი იყო. სატურნირო დარბაზში შესვლისთანავე სცენას მივაშურე: ყველაზე მეტი სიმყუდროვე იქ მეგულებოდა და საბრძოლო განწყობილებას ვერავინ დამირღვევდა.

მაგრამ, როგორც ჩანს მე ზომაზე მეტად გახლდით საბრძოლველად განწყობილი, რადგან სანახევროდ ვერც ვამჩნევდი ირგვლივ რა ხდებოდა. ეივემ რაღაც მითხრა ინგლისურად მე ცოტა არ იყოს ჭოჭმანით ვუპასუხე: „ჰმ-ჰმ“, რაც მოგეხსენებათ, ყველა ენაზე ერთნაირად ჟღერს 18 საათსა და 30 წუთზე მთავარმა მსაჯმა მილან ვიდმარმა საათი ჩამირთო და თამაში დაიწყო.

## სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 20 | 12 | 5 | 3 | 33—10 | 29 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 20 | 10 | 8 | 2 | 34—16 | 28 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 21 | 10 | 7 | 4 | 37—24 | 27 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 21 | 9 | 6 | 6 | 29—21 | 24 |
| „დილა“ (გორი) | 21 | 8 | 8 | 5 | 23—16 | 24 |
| „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლ.) | 21 | 10 | 4 | 7 | 23—19 | 24 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 20 | 11 | 2 | 7 | 26—24 | 24 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 20 | 8 | 7 | 5 | 26—17 | 23 |
| „ზვეზდა“ (ტირასპოლი) | 20 | 9 | 4 | 7 | 21—16 | 22 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 21 | 8 | 5 | 8 | 25—27 | 21 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 20 | 8 | 4 | 8 | 26—27 | 20 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 21 | 6 | 8 | 7 | 17—24 | 20 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 21 | 5 | 8 | 8 | 19—25 | 18 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 21 | 7 | 4 | 10 | 24—32 | 18 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 20 | 5 | 7 | 8 | 22—30 | 17 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 21 | 4 | 7 | 10 | 18—30 | 15 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 19 | 4 | 5 | 10 | 15—24 | 13 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 21 | 2 | 8 | 11 | 16—28 | 12 |
| „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) | 21 | 4 | 3 | 14 | 17—41 | 11 |

7 აგვისტოს გათამაშების ლიდერმა — კრასნოდარის „ყუბანმა“ შინ ანგარიშით 2:1 დაამარცხა მაიკოპის „დრუჟბა“.

# ფინალის წინ

სამ მილიონზე მეტი ნორჩი ფეხბურთელი თამაშობდა „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზის წლევანდელ შეჯიბრებებში და აი, დადგა ფინალების დრო. 13 აგვისტოს უმცროსი ასაკის ბავშვები გადამწყვეტ თამაშებს შეუდგებიან ლვოვში, ხოლო უფროსისა — კრასნოდარში. 25 აგვისტოს გამოვლინდებიან გამარჯვებულნი.

პრიზიორებს გადაეცემათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ხოლო ფინალის სხვა მონაწილეებს — სსრ კავშირის პირველი ნაკრების გუნდის წევრთა ავტოგრაფებიანი ბურთები.

ამ დღეებში საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პრეს-კონფერენცია, სადაც გადაწყდა ფინალების ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

# სასჯელი ჟესტიკულაციისთვის

იმასთან დაკავშირებით, რომ ფეხბურთის მინდვრებზე გახშირდა მოთამაშეების მხრივ მსაჯების გადაწყვეტილებათა გამო უკმაყოფილების გამოხატვა სიტყვიერად ან ჟესტიკულაციით, ფიფა-ს სამსაჯო კომიტეტმა შეადგინა საგანგებო ცირკულარული წერილი, რომელიც ფიფა-ს ყველა წევრს დაეგზავნა.

ცირკულარში ნათქვამია, რომ ფეხბურთელს უნდა მიეცეს გაფრთხილება, თუ იგი სიტყვიერად ან ჟესტიკულაციით გამოხატავს უკმაყოფილებას მსაჯის რომელიმე გადაწყვეტილების გამო.

ფეხბურთი ემოციური თამაშია და მოთამაშემ სხვადასხვა ეპიზოდისას შეიძლება უნებლიედაც გამოავლინოს თავისი უთანხმოება და უკმაყოფილება მსაჯის გადაწყვეტილების გამო, მაგრამ, თუ ამის საწინააღმდეგოდ არ იქნა მიღებული მკაცრი, გადამჭრელი ზომები, ეს შეიძლება ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს და სერიოზული ჩრდილი მიაყენოს მსაჯის ავტორიტეტს. ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვება დისციპლინის დაქვეითება, უკმაყოფილება შეიძლება მაყურებელთა ნაწილსაც გადაედოს.

მსაჯის გადაწყვეტილება საბოლოოა და კანონია თითოეული მოთამაშისთვის. არბიტრის ყოველი მითითება უსიტყვოდ უნდა შესრულდეს.

ფიფა-ს სამსაჯო კომიტეტი აღნიშნავს, რომ ფეხბურთის ეროვნულ ასოციაციებში ხშირადაა ლაპარაკი დისციპლინარულ პრობლემებზე, სხვადასხვა სახის ინციდენტებზე, მათ შორის, ფეხბურთელთა უკმაყოფილებაზე. მსაჯთა მიმართ ასეთი დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად საჭირო არაა შეიცვალოს თამაშის წესების რომელიმე პუნქტი, ვინაიდან მასში გარკვევით წერია: „მოთამაშეს უნდა მიეცეს გაფრთხილება, თუ იგი სიტყვიერად ან ჟესტიკულაციით გამოხატავს უკმაყოფილებას მსაჯის რომელიმე გადაწყვეტილების გამო. თუ გაფრთხილების შემდეგ ფეხბურთელი კვლავ გამოთქვამს უკმაყოფილებას მსაჯის გადაწყვეტილების გამო, იგი მინდვრიდან უნდა იქნას გაძევებული“.

ჩვენ გვინდა კიდევ ერთხელ შევახსენოთ მსაჯებს მეტი პრინციპულობით, თამამად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და მკაცრად დასაჯონ დამნაშავენი.

ბ. ბაქანიძე,
ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# თასი ინგლისში მიდის

ვიში, 9 აგვისტო. გალეას თასი, რომლის გათამაშება ევროპის იუნიორ ჩოგბურთელთა არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატად ითვლება, პირველად მიდის ინგლისში. ინგლისელებმა საფრანგეთის ამ საკურორტო ქალაქის კორტებზე ტრადიციულად მიმდინარე ტურნირის ფინალში ვადამდე მიაღწიეს გამარჯვებას — ესპანელებთან შეხვედრაში ანგარიშით 3:1 დაწინაურდნენ.

III ადგილი ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელებმა დაიკავეს.

საბჭოთა სპორტსმენები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

ჩოგბურთი

# მთავარია გამოცდილება

ნოგინსკი (მოსკოვის ოლქი), 8 აგვისტო. უკვე დიდი ხანია სსრ კავშირის ჩემპიონატებში სალიდერო რბოლაში ბრძოლა ასე შეუპოვარი არ ყოფილა: ყველა დუეტს (სულ რვა იყო) წარმატების იმედი ჰქონდა. დაძაბულობა წვიმამაც კი ვერ გაანელა, რომელმაც დროებით შეწყვიტა შეჯიბრება. ჩემპიონობა გამოცდილმა ოსტატებმა მ. მარკოვმა და ლიდერმა მ. ზაიცევმა შეინარჩუნეს. მოსკოველმა არმიელებმა ადგილობრივ 500-მეტრიან ბეტონის ტრეკზე ერთ საათში 71 კმ და 900 მ გაიარეს. მარკოვმა დღეს მეშვიდედ მიიღო ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი, ზაიცევმა — მეთხუთმეტედ.

8000 ნოგინსკელი გულშემატკივრის გასახარად, ვერცხლის მედლები პირველად მოიპოვეს ამ ქალაქის წარმომადგენლებმა — ზეინკალმა ვ. სენინმა და ლიდერმა გ. ქმუროვმა, რომელმაც დაამტკიცა შოფრობის პირველი კლასი მოტოციკლით რბოლაშიც — 71 კმ, 400 მ. ისევე როგორც შარშან, ბრინჯაო მასწავლებელ ს. მედვედევსა და მემაკეტე გ. კრიუჩენკოს ხვდათ (ორივე — ტაშკენტი) — 71 კმ, 200 მ.

„სასიხარულოა, რომ საბჭოთა გუნდი შეივსო ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენებით, რომლებიც წარმატებით გამოდიან ტრეკზეც და გზატკეცილზეც, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა თბილისელმა ა. ხაბურზანიამ. — ესენი არიან საბჭოთა კავშირის 1970 წლის ჩემპიონი კროსში. 26 წლის ჟ. გუბენკოვი (ლიდერი ე. გლასოვი. ორივე — ტულა) სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი გამოდევნებით გუნდურ რბოლაში, 22 წლის ტულელი ი. კოპი (ლიდერი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოსკოველი ე. კლევცოვი), ვ. ოვჩაროვი (ლიდერი გ. ტრავკინი. ორივე — მოსკოვი). ისინი პირველად მონაწილეობენ ასეთ ჩემპიონატში და უკვე საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს — IX, VII და VI ადგილები დაიკავეს.

მართალია, გამოჩნდა რამდენიმე კარგი დუეტი, შეივსო მრბოლელთა მატერიალური აღჭურვილობა, ლიდერებს აქვთ თანამედროვე ინვენტარი, მაგრამ სპორტსმენთა ტაქტიკური ოსტატობა ჯერჯერობით კიდევ მოიკოჭლებს.

ა. პერეპელიცა.
(საკდესის სპეც. კორ.)

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

ЛЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04567.